ვასილ მირაქიშვილი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
vmira22@freeuni.edu.ge

რუსეთის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძვლები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ქცევაზე იმ იდეოლოგიური და კულტურული თავისებურებების გავლენა, რომლებიც წარმოადგენენ რუსული ფართო საზოგადოების ძირითად მახასიათებლებს და რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რუსული იმპერიის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე, ჩამოყალიბდა ხელისუფლებაში მყოფი ძალების მიერ.

უკრაინაში ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განხორციელებამდე, რუსეთის საგარეო პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა მიერ, უმეტესწილად განიხილებოდა პოლიტიკური რეალიზმის თეორიის ჭრილში და მათ ნაშრომებში ან სრულად იყო უარყოფილი იდეოლოგიური და კულტურული ფაქტორების გავლენა რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ქცევაზე, ანდა ძალიან მცირე მნიშვნელობა ენიჭებოდა მათ.

პოლიტიკური რეალიზმის სკოლის წარმომადგენელთა მტკიცებით, რუსეთი დაკმაყოფილდებოდა 2014 წელს ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიითა და უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებზე კონტროლის დამყარებით და არ იყო მოსალოდნელი შემდგომი ფართომასშტაბიანი აგრესიის გაგრძელება, რადგან ეს არ იქნებოდა რაციონალური და მომგებიანი ქმედება თავად რუსეთისთვის. იმავდროულად რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს განიხილავდნენ, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულ, იძულებით საპასუხო ქმედებად ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისა და ევროპის კავშირის აღმოსავლეთით გაფართოებაზე.

ზემოაღნიშნული მტკიცების საწინააღმდეგოდ, რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მაინც მიიღო გადაწყვეტილება უკრაინაში ფართომასშტაბიანი სამხედრო შეჭრის თაობაზე და როგორც მოგვიანებით გაირკვა, დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა აღნიშნული ნაბიჯის გადასადგმელად. შესაბამისად რუსეთის ფედერაციის პრაქტიკულმა ქმედებამ გამოააშკარავა პოლიტიკური რეალიზმის თეორიის სუსტი მხარეები და აჩვენა, რომ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური ქცევის განხილვა შეუძლებელია მხოლოდ რეალისტურ და რაციონალურ ჩარჩოებში და არსებობს კიდევ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. ამგვარ ფაქტორებს კი წარმოადგენენ იდეოლოგიური და კულტურული თავისებურებები, რწმენები, იდეები და მოსაზრებები, რომლებიც ფართოდ არის გაზიარებული კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის მიერ და ამავდროულად წარმოადგენენ ერის თვითიდენტიკაციის მექნიზმს. შესაბამისად სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური ქცევის განხილვისას უფრო მეტად რელევანტურია „კონსტრუქტივისტული“ მიდგომების გამოყენება, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო პოლიტიკა არის ადამიანური ქმნილება, მაგრამ არა ფიზიკური და მატერიალური, არამედ წმინდა ინტელექტუალური და იდეური, ხოლო საერთაშორისო სისტემა არის იდეათა კონა, გარკვეული ნაზრევები, ნორმათა სისტემები, რომლებიც მოწესრიგებულ იქნა გარკვეული ხალხის მიერ გარკვეულ დროში და გარკვეულ ადგილას. იმ

შემთხვევაში კი თუ ფიქრები და იდეები, რომლებიც შეადგენენ საერთაშორისო სისტემას შეიცვლებიან, მაშინ შეიცვლება თვითონ სისტემაც, რადგან სისტემა არსებობს ნააზრევში და იდეებში.

„კონსტრუქტივიზმის“ ჭრილში საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და ამ სისტემაში სახელმწიფოთა ქცევის განხილვა, ნათელს ჰფენს რუსეთის ერთი შეხედვით ირაციონალურ გადაწყვეტილებებსა და თვითდამაზიანებელ ქმედებებს, რაც თავის მხრივ ასევე იძლევა რევიზიონისტულად განწყობილი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური აქტივობის პროგნოზირების შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკა, იდეოლოგია, რუსეთი, კონსტრუქტივიზმი, უკრაინა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა ერთი ნაწილი ცდილობდა გაებათილებინა მსოფლიოში რუსეთის ქცევის არაპროგნოზირებადობის შესახებ, ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული წარმოდგენა და დაემტკიცებინა, რომ შესაძლებელი იყო რუსეთის მეტნაკლებად სანდო პარტნიორად განხილვა. ამ მხრივ განსაკუთრებული ძალისხმევა გასწიეს პოლიტიკური რეალიზმის სკოლის წარმომადგენლებმა, რომლებიც ასაბუთებდნენ, რომ „მრავალპოლარულ“ და ქაოსურ გარემოში რუსეთის საგარეო პოლიტიკური ქცევა განპირობებული იყო რეალისტური მიდგომებით და ხასიათდებოდა მკვეთრი რაციონალურობითა და წინასწარ გათვლილი ნაბიჯებით, რაც მიმართული იყო საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ. „რეალისტები“ მიიჩნევდნენ, რომ რუსეთს საფრთხის განცდა გაუჩინა “ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა“ და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების პოლიტიკამ, რომლის პასუხადაც რუსეთის მოქმედების ერთადერთ მიზნად იქცა ცივი ომის შემდეგ ჩამოყალიბებული მსოფლიო წესრიგის შეცვლა და საბჭოთა კავშირის დროინდელი გავლენის დაბრუნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პოლიტიკური რეალიზმის თეორიული სკოლის წარმომადგენლები, როგორებიც არიან სკოტ ჯ. ფეინშტეინი, ელენ ბ. პირო, ჯონ ჯ. მარშაიმერი და სხვები, ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკური ქცევა სრულად იყო მოქცეული რაციონალურ ჩარჩოებში და შესაძლებელი იყო შემდგომი ნაბიჯების წინასწარ განჭვრეტა. შესაბამისად ისინი უფრო მეტად აკრიტიკებდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის კავშირის საგარეო პოლიტიკურ მიმართულებას და ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ რუსეთთან დაძაბულობის შემცირებისთვის აუცილებელი იყო შესაბამისი უსაფრთხოების გარანტიების მიცემა, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნებოდა რუსეთისთვის ტრადიციული გავლენის სფეროების შენარჩუნებით. „რეალისტები“ ასევე ემხრობოდნენ რუსეთის მხრიდან ე.წ. „შეზღუდული აგრესიის“ გამოყენების ვერსიას და ამტკიცებდნენ, რომ ფართომასშტაბიანი აგრესია რუსეთის მხრიდან არ იყო მოსალოდნელი, რადგან ეს არ იქნებოდა ხელსაყრელი და რაციონალური გადაწყვეტილება მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით (Feinstein and Pirro 2021; Mearsheimer 2014; Charap and Colton 2017; Thalis 2018).

თუკი 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ, ვერ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის ქმედებების მიმართ რეალისტურ მიდგომებზე, 2014 წელს განხორციელებულმა ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსიამ მნიშვნელოვანი კითხვები გააჩინა რუსეთის რაციონალურ და პრაგმატულ ქცევასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი მკვლევარი შეეცადა რეალისტურ მიდგომებში არსებული ხარვეზის გამოსწორებას პოლიტიკური რელიზმის თეორიის ჩარჩოში დარჩენით. ამ მიზნით შემოტანილ იქნა „ვერნაკულარული რეალიზმის“ ცნება, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოთა და კონკრეტულად კი რუსეთის საგარეო პოლიტიკური ქცევის მიზეზების ახსნას არა გეოპოლიტიკური ინტერესებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბებული „ტრადიციით“. ამასთან „ვერნაკულარული რეალისტები“ აღიარებენ იმ

ობიექტურ გარემოებასაც, რომ რუსეთის ხელისუფლებებს ისტორიულად ყოველთვის გამოსდიოდათ შიდა რუსული საზოგადოებისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდება გარე სამყაროს შესახებ და ამ მხრივ ქვეყნის შიგნით სასურველი საინფორმაციო ველის შექმნა (Babitsky 2022).

მიუხედავად რუსეთის საგარეო პოლიტიკაში გარკვეული იდეალისტური შემადგენლის არსებობის აღიარებისა, „ვერნაკულარული რეალიზმისა" და კლასიკური რეალიზმის წარმომადგენლები თანხმდებიან იმაში, რომ რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკა არ ატარებს ეთიკურ (იდეალისტურ) ხასიათს და განპირობებულია წმინდად მატერიალისტური საფუძვლით - ჰობსიანურ ანარქიულ სამყაროში საკუთარი სახელმწიფოს საზღვრების დაცვის განზრახვით, თუმცა ისინი ვერ თანხმდებიან იმის თაობაზე თუ რას შეიძლება რუსეთი გულისხმობდეს თავის საზღვრებში (Babitsky 2022).

თავის მხრივ 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფართომასშტაბიანმა სამხედრო შეჭრამ უკრაინაში, კიდევ ერთხელ დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ პოლიტიკური რეალიზმის სკოლის წარმომადგენელთა მტკიცება, რუსეთის ქმედებების რაციონალურობისა და განჭვრეტადობის შესახებ და წარმოქმნა გარკვეული დაბნეულობა საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებსა და ცალკეულ სახელმწიფოთა იმ სამსახურებში, რომლებიც დაკავებულნი არიან ანალიტიკური საქმიანობით. გაჩნდა საერთაშორისო ურთიერთობების არსის ახლებურად გაანალიზებისა და იმის თეორიული ახსნის საჭიროება თუ რატომ იქცევა კონკრეტული ქვეყანა და ამ შემთხვევაში რუსეთი მოლოდინების საწინააღმდეგოდ.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „კონსტრუქტივიზმის" თეორიული სკოლა და ამ სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის ალექსანდერ ვენდტის ნაშრომი „საერთაშორისო პოლიტიკის სოციალური თეორია", რომლის მიხედვითაც საერთაშორისო ურთიერთობები არის სოციალურად შედგენილი (კონსტრუირებული) და სახელმწიფოები ერთმანეთს განიხილავენ იმის მიხედვით თუ როგორი წარმოდგენები გააჩნიათ მათ ერთმანეთზე და როგორ აღიქვავენ ისინი გარე სამყაროს. კონკრეტული სახელმწიფოების აღქმები კი ყალიბდება ამ სახელმწიფოთა საზოგადოებებში ჩამოყალიბებული იდეოლოგიური და კულტურული შეხედულებებით. შესაბამისად რაციონალური, მატერიალისტური ზრახვების გარდა, მსოფლიო პოლიტიკაზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ იდეები, რომლებიც თავის მხრივ დრო და დრო ცვლიან თავად მატერიის მნიშვნელობასაც. აქედან გამომდინარე ვენდტის მტკიცებით, საერთაშორისო სისტემა მატერიალისტურთან ერთად მოიცავს ასევე იდეალისტურ ელემენტებსაც (Wendt 1999).

საერთაშორისო ურთიერთობების ა.ვენდტისეული განმარტება საშუალებას იძლევა არა მხოლოდ აიხსნას რუსეთის ფედერაციის მოულოდნელი და თავისთვის უსარგებლო, დამაზიანებელი ქმედებები, არამედ ასევე იძლევა მისი შემდგომი ნაბიჯების განჭვრეტის შესაძლებლობასაც, რასაც თავის მხრივ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეების - სახელმწიფოებისა და სახელმწიფოთა გაერთიანებებისთვის, რუსეთთან მიმართებაში სწორი პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად.

რუსეთის ქცევის „კონსტრუქტივიზმის" ჭრილში განხილვა, ნათელს ჰფენს იმ ძირითად მიზეზებს, რომლებიც განაპირობებენ რუსეთის საგარეო პოლიტიკის არსებული სახით ჩამოყალიბებას და უკავშირდება რუსული სახელმწიფოსა და საზოგადოების კულტურულ და იდეოლოგიურ თავისებურებებს, რომლებმაც განსაკუთრებით იჩინა თავი უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული სამხედრო აგრესიის პირობებში.

რუსეთის იმპერიის არსებობის ყველა ეტაპზე, რუსულ პოლიტიკურ ელიტებსა და საზოგადოებაში მუშავდებოდა და შემდეგ ფართო ფენებში აქტიურად ინერგებოდა იდეოლოგიები, რომლებითაც ხდებოდა იმპერიის არსებობისა და მისი ძლიერების ზრდის აუცილებლობის დასაბუთება. ასეთი იყო მაგალითად ე.წ. „მესამე რომისა" და ქრისტიანობის მთავარი ბურჯის იდეა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყენებოდა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ წარმოებული რამდენიმე სამარი კამპანიის განმავლობაში. მოგვიანებით აღნიშნული იდეა კიდევ უფრო დაკონკრეტდა და მიიღო „მართლმადიდებლობის" მთავარი დამ-

ცველის შინაარსი, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო ევროპის კონტინენტზე, ძირითადად ქრისტიანული (კათოლიკური და პროტესტანტული), ევროპული ქვეყნების წინააღმდეგ წარმოებული საომარი მოქმედებებით.

რუსეთში მომხდარი რევოლუციისა და მოგვიანებით ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ სახეცვლილი რუსეთის იმპერია საბჭოთა კავშირის სახით, სრულად იდეოლოგიურ საფუძველზე შექმნილ სახელმწიფოს წარმოადგენდა და სწორედ „მარქსიზმ-ლენინიზმის“ ფორმით ჩამოყალიბებული კომუნისტური იდეოლოგია იქცა გარე სამყაროსგან მის განმასხვავებელ ნიშნად. კომუნისტურმა რეჟიმმა მთავარ იდეოლოგიურ მტრად გამოაცხადა კაპიტალისტური დასავლეთი და საზოგადოებას მიზნად დაუსახა მის წინააღმდეგ ბრძოლა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში დაწყებული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე საფრთხის წინაშე დადგა რუსეთის ფედერაციის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს არსებობა, რასაც აძლიერებდა ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ სუბიექტებში ეროვნული გრძნობების გაღვივება. ასევე ადგილი ჰქონდა რუსეთის ფედერაციიდან პირდაპირი გამოყოფის მცდელობასაც, კერძოდ კი ჩეჩნეთის რესპუბლიკის მხრიდან, რასაც მოჰყვა ორი ომი და ტერორისტული აქტები რუსეთის ტერიტორიაზე. უხეშ ძალასთან ერთად, რომლის საშუალებითაც რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ინარჩუნებდა სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, მწვავედ დადგა შესაბამისი იდეოლოგიური საფუძვლის შემუშავების აუცილებლობა, რომელიც გაამართლებდა მრავალი ეთნიკური ჯგუფისა და შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების რუსეთის ერთიან სახელმწიფოში არსებობას. სწორედ ამიტომ, აღნიშნული მიმართულებით აქტიურად დაიწყო მუშაობა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა ვ.პუტინი, რომლისთვისაც უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა სახელისუფლებო ვერტიკალის გამყარება და დემოკრატიული რეფორმების შედეგად ჩამოყალიბებული ხელისუფლების სხვადასხვა შტოებზე სრული კონტროლის დამყარება. შესაბამისად რუსეთის ხელისუფლების ქმედითი მხარდაჭერით, სამთავრობო ორგანოების, სპეცსამსახურებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენელთა ჩართულობით, ჩამოყალიბდა ერთგვარად შერეული, ჰიბრიდული ტიპის იდეოლოგია, რომელიც წარმოადგენდა საბჭოთა კავშირისა და მეფის რუსეთის დროინდელი იდეების ნაზავს. აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა ასევე სახელმწიფო სიმბოლოებზეც. რუსეთის ეროვნულ ჰიმნად გამოცხადდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ჰიმნი, იმ დროს როდესაც სახელმწიფო გერბი წარმოადგენს მეფის რუსეთის მემკვიდრეობას. მოცემული შეზავებული იდეოლოგიის მოსახლეობის ფართო ფენებზე ეფექტური ზემოქმედების მიზნით, მის გავრცელებაში აქტიურად ჩაერთნენ ბეჭდური და სატელევიზიო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც, მოგვიანებით კი ეფექტურად იქნა გამოყენებული ინტერნეტი და სოციალური ქსელები. პრესის, ტელევიზიისა და ინტერნეტის საშუალებით, რუსეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებული იდეოლოგები, წლების განმავლობაში ნერგავდნენ აზრს რუსულ საზოგადოებაში, რომ რუსეთს, როგორც სახელმწიფოს შეუძლია არსებობა მხოლოდ და მხოლოდ იმპერიის სახით, მუდმივი გაძლიერებისა და ტერიტორიული გაფართოების პირობებში. ჩამოყალიბდა ე.წ. „რუსული სამყაროს“ ცნება, რომელშიც იგულისხმებოდნენ არა მხოლოდ რუსულ არამედ სხვა სლავურ ენებზე მოლაპარაკე ხალხები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების მიმართულებით. რუსი იდეოლოგები, ისეთები როგორებიც არიან მაგალითად ა. დუგინი, ხაზს უსვამდნენ რუსეთის სულიერ, რელიგიურ და ღვთიურ დანიშნულებას დედამიწაზე და რუსული იმპერიის მთავარ მიზნად აცხადებდნენ სამყაროს ხსნას (Dugin 2009; TVO Today | The Agenda 2015).

ახალი იდეოლოგიის ფორმირებასა და ცხოვრებაში გატარებაში აქტიურად ჩაერთო ასევე რუსული მართლმადიდებლური ეკლესია (Orthodox Church 2019). რუსეთის პატრიარქის კირილ გუნდიაევის ხელმძღვანელობით ეკლესია არა მხოლოდ უჭერდა და უჭერს მხარს პუტინის რეჟიმის აგრესიულ საგარეო პოლიტიკას, არამედ წარმოადგენს მართლმადიდებელი ერების, განსაკუთრებით კი სლავი მართლმადიდებლების „რუსულ სამყაროში“ გაერთიანე-

ბის იდეის ერთ-ერთ მთავარ მასაზრდოებელს[1]. აღნიშნული იდეის ცხოვრებაში გატარების მიმართულებით, კი მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა პირველ რიგში უკრაინისა და ბელარუსის გაერთიანებას საერთო რუსულ სივრცეში. თავის მხრივ უკრაინას და კერძოდ კი კიევს, საკვანძო მნიშვნელობა გააჩნია რუსულ ისტორიულ და იდეოლოგიურ დისკურსში, რადგან ის ითვლება რუსული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული იდენტობის მთავარ ქვაკუთხედად.

სახელმწიფოს, აკადემიური წრეების, ეკლესიის, კონტროლირებადი მედიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთიანი ძალისხმევის შედეგად, რუსეთის მოსახლეობის ფართო ფენები ხელახლა იქნა გაჟღენთილი ძველი იდეოლოგიების ახლებური ინტერპრეტაციით და ამან მიაღწია იმხელა მასშტაბებს, რომ თავად რუსეთის ხელისუფლება და ამ შემთხვევაში პუტინის რეჟიმი იქცა, თავისივე ყალბი ისტორიული და იდეოლოგიური დისკურსის მძევლად.

უკრაინაში აქტიური საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე სამხედრო-პოლიტიკურ ექსპერტთა დიდი ნაწილი თანხმდებოდა იმაზე, რომ რფ-სთვის გაცილებით უფრო მომგებიანი იქნებოდა სამხედრო ძალის შესაძლო გამოყენების მუქარა, რადგან რეალური სამხედრო მოქმედებების დაწყებით რუსეთი წავიდოდა დიდ რისკზე, რაც მდგომარეობდა მისი როგორც რეგიონალური მასშტაბის პოლიტიკური ასევე ეკონომიკური დომინანტობის დაკარგვაში. შესაბამისად არსებობდა საერთო შეთანხმება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ რუსეთისთვის ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტის დაწყება იქნებოდა მკვეთრად ირაციონალური გადაწყვეტილება. ასევე არადამაჯერებლად გამოიყურებოდა რუსეთის პოლიტიკური რეჟიმის მიერ რუსეთის სახელმწიფოებრიობისთვის სასიკვდილო საფრთხედ „ნატო“-ს აღმოსავლეთით გაფართოების ტენდენციის დასახელება, რადგან ახლო და საშუალო ვადიან პერსპექტივაში არანაირად არ იყო მოსალოდნელი უკრაინის და საქართველოს, როგორც „ნატო“-ს აღმოსავლეთ პარტნიორობის მთავარი ქვეყნების, უფრო მეტად ინტეგრირება ჩრდ. ატლანტიკურ ალიანსში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მატერიალურ ფაქტორებთან ერთად, რუსეთის პოლიტიკური რეჟიმის მიერ არსებული მოლოდინების საწინააღმდეგოდ მიღებულ „ირაციონალურ“ გადაწყვეტილებაში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სწორედ ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებულმა ყალბმა ისტორიულმა დისკურსმა და მის საფუძველზე, რეჟიმის მიერ შექმნილმა იდეოლოგიამ.

რუსულმა პოლიტიკურმა ელიტამ ვერ შეძლო რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება, მას შემდეგაც კი, რაც სამხედრო თვალსაზრისით რუსეთმა მძიმე მარცხი განიცადა, ვერ შეასრულა მთავარი ამოცანა - უკრაინის დედაქალაქის კიევის აღება და იძულებული გახდა აღნიშნულ მიმართულებაზე მყოფი სამხედრო შენაერთები, სრული განადგურების თავიდან აცილების მიზნით, გაეყვანა უკრაინის ჩრდილოეთიდან. ნაცვლად იმისა, რომ ადამიანური და მატერიალური რესურსის უდიდესი დანაკარგები[2], პუტინის რეჟიმისთვის გამხდარიყო გარკვეულწილად საღი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი, სახელმწიფო პროპაგანდისტული საინფორმაციო მანქანის მეშვეობითა და იდეოლოგიური საფარველის გამოყენებით, საზოგადოებას კვლავ წარუდგინეს ახალი მიზანი - უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონების „გათავისუფლება ნაცისტებისგან“.

რუსეთის ხელისუფლება საზოგადოების გაერთიანებისა და მორჩილების მისაღწევად, ამ დრომდე აქტიურად ცდილობს ასევე მეორე მსოფლიო ომის დროინდელი, საბჭოთა პრო-

[1] კირილ გუნდიაევმა 2022 წლის 6 მარტის ქადაგებაში მხარი დაუჭირა უკრაინაში სამხედრო შეჭრას და ეს ახსნა დონბასში რუსული სამყაროსა და იმ ღირებულებების დაცვის აუცილებლობით, რომლებიც ეწინააღმდეგება „გეი აღლუმის“ ჩატარებას.

[2] უკრაინის თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის მონაცემებით რუსეთის შეიარაღებული ძალების დანაკარგებმა დაღუპულების სახით, შეადგინა 133 190 ჯარისკაცი. აშშ-ს ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს მონაცემების მიხედვით, რუსეთის დანაკარგები დაჭრილი, დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგულების სახით შეადგენს 200 ათასზე მეტ ჯარისკაცს (General Staff of the Armed Forces of Ukraine 2023; Stepanenko et al. 2023).

პაგანდისტული ნარატივების გატარებას, რაც პოლიტიკურ განცხადებებში, სატელევიზიო გადაცემებსა თუ ბეჭდურ გამოცემებში, გამოიხატება ისეთი სიტყვების ხშირ გამოყენებაში, როგორებიცაა „ფაშიზმი“, „ნაციზმი“, „სამამულო ომი“ და ა.შ. ამ მიზნით იქნა ასევე გამოყენებული ქ. ვოლგოგრადში გამართული ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა სტალინგრადის ბრძოლის მეოთხმოცე წლისთავს. პროპაგანდისტული მიზნებისთვის, დადგმული იქნა სტალინის ბიუსტი და ქალაქს ერთი დღით დაუბრუნდა სახელი „სტალინგრადი“. ვოლგოგრადში ჩავიდა ასევე რფ-ის პრეზიდენტი ვ. პუტინი, რომელიც დასავლეთს დაემუქრა ბირთვული იარაღის გამოყენებით უკრაინისთვის გაწეული დახმარების გამო და ასევე განსაკუთრებით გაუსვა ხაზი უკრაინის ტერიტორიაზე „ჯვრის გამოსახულებიანი“ გერმანული ტანკების გამოჩენის შესაძლებლობას, რითაც შეეცადა ერთმანეთისთვის დაეკავშირებინა უკრაინაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა[3].

თავის მხრივ მეორე მსოფლიო ომის რუსული დისკურსი სრულად ემყარება საბჭოთა ისტორიულ დისკურსს, რომელიც ფაშიზმის დამმარცხებელ ძალად წარმოაჩენდა საბჭოთა კავშირს, ხოლო მოკავშირეების როლი იყო მინიმალიზირებული. ათწლეულების განმავლობაში თაობები აღიზარდნენ აღნიშნულ დისკურსში, რომელიც ყალიბდებოდა არა მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოების, არამედ თეატრისა და კინოს, მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის მეშვეობით. შედეგად მეორე მსოფლიო ომის შესახებ ჩამოყალიბდა ისეთი სახის კოლექტიური მეხსიერება, რომელიც სრულად იყო ფორმირებული მაშინდელი რეჟიმის მიერ და გამომდინარეობდა მისი ინტერესებიდან.

სოციოლოგი ჯეიმს ვ. ვერჩი თავის ნაშრომში „კოლექტიური მეხსიერების ხმები“ იხსენებს მისი რუსეთში ყოფნისას მომხდარ შემთხვევას, როდესაც მას ჰქონდა შესაძლებლობა ერთ-ერთ სკოლაში გასაუბრებოდა უფროსკლასელებს მეორე მსოფლიო ომის თემაზე და მისთვის გახდა სრული მოულოდნელობა მოსწავლეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ფაშიზმის დამარცხებაში მოკავშირეთა როლის შესახებ. კერძოდ, მოსწავლეებმა თავდაჯერებულად განუცხადეს მას, რომ ომის პირველ წლებში აშშ-მ დიდი სარგებელი ნახა შეიარაღების გაყიდვით იმ დროს, როდესაც, არანაირი რეალური კონტრიბუცია არ შეჰქონდა მოკავშირეთა ძალისხმევაში. ამასთან აშშ და დიდი ბრიტანეთი მხოლოდ მაშინ ჩაერთნენ ომში და გახსნეს მეორე ფრონტი, როდესაც დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ამარცხებდა ფაშისტურ გერმანიას. აღნიშნული ფაქტის ანალიზისას, ჯ. ვ. ვერჩი ავითარებს მოსაზრებას, რომ კოლექტიური მეხსიერება ნაცვლად პირდაპირი გამოცდილებისა ძირითადად ყალიბდება ე.წ. „ტექსტუალური მედიაციით“, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოებს, არამედ მედიასაც და ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც რუსეთია (Wertsch 2004).

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისა და იდეოლოგების რიტორიკაში ასევე ხშირია რელიგიური მოტივების გამოყენების ფაქტებიც, როდესაც ისინი აშშ-სა და ევროკავშირს მოიხსენიებენ, როგორც მართლმადიდებლური ქრისტიანობის წინააღმდეგ მებრძოლ „სატანის მსახურებს“, ხოლო საზოგადოებას „ამშვიდებენ“ იმით, რომ ბირთვული ომის შემთხვევაში, რასაც შესაძლოა მოჰყვეს კატასტროფა მთელს დედამიწაზე, რუსები მოხვდებიან სამოთხეში, ხოლო მათი მტრები კი ჯოჯოხეთში[4].

ამ მხრივ სხვადასხვა პროპაგანდისტულ მედია საშუალებებთან ერთად განსაკუთრებით გამოირჩევა რუსული მართლმადიდებლური ეკლესია, რომლის მსახურებიც აქტიურად ქადაგებენ იმ „სატანისტური“ დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე, რომელიც „მართლმორწმუნე“ რუსეთისგან მოითხოვს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. რუსული ეკლესიის წარმომადგენლები ასევე ავრცელებენ სხვადასხვა სახის ვიდეო-რგო-

[3] რფ-ის პრეზიდენტ ვ. პუტინის სიტყვით გამოსვლა ვოლგოგრადში 2023 წლის 2 თებერვალს. ვ. პუტინმა განაცხადა, რომ დასავლეთის მიერ უკრაინისთვის მძიმე შეიარაღების მიწოდებას პასუხი გაეცემა და რუსეთთან თანამედროვე ომი იქნება „სხვანაირი“ (ინტერპრესნიუსი 2023).

[4] რფ-ის პრერზიდენტ ვ. პუტინის 2018 წლის 19 ოქტომბრის განცხადება, ბირთვული იარაღის გამოყენების ალბათობის შესახებ.

ლებს, რომლებშიც ისინი პოზირებენ სამხედრო შეიარაღებითა და აღჭურვილობით, რითიც ცდილობენ შექმნან პირადი მაგალითის იმიტაცია მოსახლეობისა და მრევლისთვის.

აღსანიშნავია, რომ პუტინის რეჟიმი იდეოლოგიაზე დაფუძნებულ საინფორმაციო ოპერაციებს იყენებს არა მხოლოდ რუსეთის მოსახლეობაზე არამედ საერთაშორისო სუბიექტებზე ზეგავლენისთვისაც, რათა სახელმწიფოებმა ბირთვული ომის შიშით თავი შეიკავონ უკრაინის დახმარებისგან. რუსეთის ხელისუფლება ცდილობას საერთაშორისო საზოგადოების წინაშე თავი წარმოაჩინოს უკიდურესად დესტრუქციულ, „დიდი რუსეთის“ იდეით გაჟღენთილ ადამიანთა ერთობად, რომელიც მზად არის მიიღოს ყველაზე უფრო საშიში გადაწყვეტილებები, მათ შორის სხვებთან ერთად თვითგანადგურების შესახებაც, თუკი არ იქნება დაკმაყოფილებული მისი საგარეო-პოლიტიკური ამბიციები[5]. შესაბამისად რუსეთს ფაქტობრივად შეძენილი აქვს „ტერორისტი სახელმწიფოს“ ნიშნები, რომელიც თავისი ინტერესების უზრუნველყოფის ძირითად საშუალებად განიხილავს სხვების დაშინებას, როგორც მუქარით, ასევე რეალურად განხორციელებული ტერორისტული ქმედებებით.

ბირთვული იარაღით შანტაჟი, რომელიც გამყარებულია „დიადი რუსეთის“ იდეოლოგიით, ასევე ემსახურება პუტინის რეჟიმის გადარჩენის მიზანსაც, რადგან უკრაინაში მოსალოდნელი სამხედრო მარცხი ქმნის რეჟიმის ცვლილების წინაპირობებს, რაც შესაძლოა სულაც არ იყოს არაძალადობრივი, რადგან არსებული სახით რუსეთის სახელმწიფოებრიობისა და „რუსეთის იდეის“ შენარჩუნებისთვის აუცილებელი გახდება პასუხისმგებელი პირების გამოკვეთა და მათი სათანადოდ დასჯა. თუკი პუტინის პოლიტიკური რეჟიმი საბოლოოდ მაინც არ მიიღებს ბირთვული იარაღის გამოყენების გადაწყვეტილებას და იმავდროულად ვერ მოახერხებს უკრაინაში მოსალოდნელი მარცხის რუსეთის მოსახლეობამდე, საზოგადოებისთვის მისაღები ფორმით დაყვანას, „დიადი რუსეთის“ ჰიბრიდული იდეოლოგიის მატარებელი საზოგადოებრივი ელიტებისთვის, პრიორიტეტი გახდება თავად იდეის გადარჩენა, რომლის ერთ-ერთი საშუალებაც სავარაუდოდ იქნება არსებული რეჟიმის წევრთა დემონიზება და მათი პასუხისმგებლობის დაყენება.

რუსული საზოგადოების, მოსახლეობის ფართო ფენების იდეოლოგიზირების მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ რუსეთის სახელმწიფომ და საზოგადოებამ, უკრაინაში განცდილი მარცხის შემდეგ შეძლონ შეცდომების რაციონალური განსჯის საფუძველზე, მკვეთრი გარდაქმნების განხორციელება, დემოკრატიულ, ღია საზოგადოებად გარდაქმნა და საერთაშორისო ურთიერთობებში სანდო პარტნიორად ქცევა. ამის მცდელობის შემთხვევაშიც კი საჭირო იქნება ხანგრძლივი პერიოდი, რომლის დროსაც რუსულმა საზოგადოებამ უნდა გადააფასოს დღეს არსებული ღირებულებები და შეეცადოს იდეოლოგიური ბორკილებისგან თავის დაღწევას. შესაბამისად მსოფლიო თანამეგობრობა უნდა მოემზადოს ომის შემდგომ რუსეთთან ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად, რაც თავის მხრივ იქნება ასევე რთული გამოწვევა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისთვის, რადგან არსად არ გაქრება რუსეთის ბირთვული პოტენციალი და პოლიტიკურ ელიტების მიერ ამ პოტენციალით მანიპულირების საფრთხე. ასევე გააგრძელებს არსებობას „ჰიბრიდული იდეოლოგია“ და სავარაუდოდ კიდევ დიდხანს დარჩება პოლიტიკური ძალებისთვის პოპულისტური დაპირებებისა და გეგმების მთავარ საფუძვლად.

რუსეთის მაგალითის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკური ქცევის ანალიზის პროცესში რელევანტური დასკვნების გასაკეთებლად არ არის საკმარისი მხოლოდ „რეალისტური“ მიდგომები და ასევე მნიშვნელოვანია კონკრეტულ სახელმწიფოთა საზოგადოებების იდეოლოგიურ-კულტურული თავისებურებები, რომლებიც ყალიბდება ათწლეულების განმავლობაში, წერილობითი ტექსტებისა თუ სხვა საინფორმაციო საშუალებებით შექმნილი ისტრიული დისკურსის შედეგად. რუსეთის მაგალითი გვაჩვენებს, რომ იდეოლოგიური ფაქტორი, რომელიც მმართველი ელიტების მიერ

[5] რფ-ის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დ. მედვედევმა განაცხადა, რომ უკრაინის მხრიდან ყირიმის ნახევარკუნძულზე დარტყმის შემთხვევაში, რუსეთი მზადაა გამოყენოს ყველა სახის იარაღი (ჩოხელი 2023).

გარკვეულ ეტაპზე შესაძლოა გამოყენებულ იქნას წმინდად მატერიალისტური მიზნების მისაღწევად, დროთა განმავლობაში ტრანსფორმირდება სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ქცევის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად. შედეგად სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამდებობის პირები იძულებულნი ხდებიან სტრატეგიულ დონეზე მისაღები გადაწყვეტილებების ფორმირებისას, დარჩნენ არსებულ იდეოლოგიურ ჩარჩოში, რაც საბოლოო ჯამში აისახება განხორციელებულ ქმედებათა რაციონალურობის ხარისხზე. შესაბამისად გამომდინარე იქიდან, რომ იდეოლოგიურ-კულტურული თავისებურებები და ისტორიული დისკურსი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოთა მხრიდან „მტრების“, „კონკურენტებისა“ და „მეგობრების“ იდენტიფიცირებაზე, მათი გათვალისწინება ასევე შესაძლებელს ხდის სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკური ქცევის პროგნოზირებასაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო სუბიექტების მიერ მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პოლიტიკის დაგეგმვისა და ასევე პრევენციული ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

ინტერპრესნიუსი. 2023. “ვლადიმერ პუტინი - წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია: ჩვენ ისევ გვემუქრებიან გერმანული Leopard ტანკებით, რომლებზეც ჯვრებია - ვუპასუხებთ.” 02.02.2023. https://www.interpressnews.ge/ka/article/743324-vladimer-putini-carmoudgenelia-magram-paktia-chven-isev-gvemukrebian-germanuli-leopard-tankebit-romlebzec-jvrebia-vupasuxebt/.

ჩოხელი, ქეთი. 2023. „დიმიტრი მედვედევი - უკრაინის მხრიდან ყირიმზე დარტყმის შემთხვევაში რუსეთი მზად არის, ყველა სახის იარაღი გამოიყენოს.“ 04.02.2023. https://1tv.ge/news/dimitri-medvedevi-ukrainis-mkhridan-yirimze-dartymis-shemtkhvevashi-ruseti-mzad-aris-yvela-sakhis-iaraghi-gamoiyenos/.

Babitsky, Andrey. 2022. “With Russia, Vernacular Realism Tramps Political Realism.” Wilson Center, June 21, 2022. https://www.wilsoncenter.org/blog-post/russia-vernacular-realism-trumps-political-realism.

Charap, Samuel, and Timothy J. Colton. 2017. *Everyone Loses: The Ukraine Crisis and the Ruinous Contest for Post-Soviet Eurasia*. London: Routledge.

Dugin, Alexander. 2012. *The Fourth Political Theory*. Moscow: Eurasian Movement.

Feinstein, S. G., and E. B. Pirro. 2021. “Testing the World Order: Strategic Realism in Russian Foreign Affairs.” *Int Polit* 58: 817-834.

General Staff of the Armed Forces of Ukraine. 2023. Facebook, February 7, 2023. https://www.facebook.com/GeneralStaff.ua/.

Mearsheimer, John J. 2014. “Why the Ukraine Crisis is the West’s Fault: The Liberal Delusions That Provoked Putin.” *Foreign Affairs* 93, no. 5: 77–89.

Orthodox Church. “Orthodox Patriarch of Moscow - Why They Plot Against the Russian Orthodox Church.” YouTube video, 4:56. October 20, 2019. https://www.youtube.com/watch?v=wVTvJXroA0g.

Stepanenko, Kateryna, Karolina Hird, Grace Mappes, George Barros, Layne Philipson, Nicole Wolkov, and Frederick W. Kagan. 2023. “Russian Offensive Campaign Assessment, February 6, 2023.” ISW – Institute for the Study of War, February 6, 2023. https://www.understandingwar.org/backgrounder/russian-offensive-campaign-assessment-february-6-2023.

Thalis, Alexander. 2018. “Threat or Threatened? Russian Foreign Policy in the Era of NATO Expansion.” Australian Institute of International Affairs, May 03, 2018. https://www.internationalaffairs.org.au/threat-or-threatened-russian-foreign-policy-in-the-era-of-nato-expansion/.

TVO Today | The Agenda. “Competing Ideologies.” YouTube video, 1:31:36. February 11, 2015. https://www.youtube.com/watch?v=wIiKiDnMSFw.

Wendt, Alexander. 1999. *Social Theory of International Politics.* Cambridge University Press.

Wertsch, James. 2004. *Voices of Collective Remembering.* Cambridge University Press.